ხაშურის მოამბე

№7 (381) 27 თებერვალი, ორშაბათი, 2023 წელი

იუსტიციის მინისტრი - ხაშურში

იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მოქალაქეთათვის სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის კიდევ უფრო გაუმჯობესებაა. ამ მიზნით იუსტიციის სახლის მშენებლობა ერთდროულად რამდენიმე ქალაქში – ხაშურში, ზესტაფონსა და სამტრედიაში მიმდინარეობს. ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები ხაშურსა და ზესტაფონში იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ მოადგილესთან, ერეკლე ღვინიანიძესთან, ერთად დაათვალიერა.

იუსტიციის სახლის 470-მდე სერვისით სარგებლობას ხაშურისა და ზესტაფონის მოსახლეობა უკვე მიმდინარე წელს შეძლებს და ყველა სახის სახელმწიფო მომსახურებას ერთ სივრცესა და კომფორტულ გარემოში მიიღებს.

მომსახურების დარბაზის გარდა, ახალ ფილიალებში თანამედროვე ინტერიერის საქორწინო-სარიტუალო სივრცე მოეწყობა. შენობებში იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების ოფისებიც განთავსდება, რომლებიც ამ დრომდე მოძველებულ ინფრასტრუქტურაში ფუნქციონირებენ.

ხაშურის ფილიალი შიდა ქართლის რეგიონში მეცხრე იუსტიციის სახლი იქნება, ზესტაფონის იუსტიციის სახლი კი, იმერეთში რიგით 23-ეა.

დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით 117 იუსტიციის სახლი მოქალაქეებს ერთი ფანჯრის პრინციპით სხვადასხვა საჯარო უწყებისა და კერძო სექტორის 470- ზე მეტ სერვისს სთავაზობს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ბიუსტის განთავსების საკითხებზე იმსჯელეს

დიმიტრი ყიფიანის ბიუსტის კრიტერიუმებისა და საუკეთესო ესკიზის ავტორის გამომვლენმა სამუშაო ჯგუფმა, ამ მიმართულებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით, ძეგლის განთავსების კრიტერიუმებზე იმსჯელა.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებულია როგორც მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირებისგან, ასევე, სამუზეუმო გაერთიანების წარმომადგენლებისა და დიმიტრი ყიფიანის შთამომავლებისგან.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერს ახლახან ჩაუტარდა რეაბილიტაცია. სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია სკვერში ბიუსტის განთავსება.

იმედია საკონკურსო პროცედურები ჩქარა დამთავრდება და, უახლოეს მომავალში, ჩვენი ქალაქის მთავარ მოედანს დიდი მამულიშვილის ძეგლი დაამშვენებს.

საქმიანი შეხვედრა USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამის“ გუნდის წევრებთან

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ცოტნე ნოზაძე და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი დავით ღვალაძე USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის გუნდის წევრებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე იმსჯელეს ხაშურის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის შექმნის საჭიროების და ამ მიმართულებით შესაბამის დოკუმენტზე სამუშაოდ ჯგუფის ფორმირების შესახებ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობას 2022 წლის 15 თებერვალს მიღებული აქვს განკარგულება, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის ფორმირებისა და მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესს. სამუშაო ჯგუფის შემდგომი საქმიანობაც აღნიშნული განკარგულებით დარეგულირდება.

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პირველია სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან, სადაც სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობა უნდა დაიწყოს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2023 წელი

№	ტერიტორიული ერთეული	დასახლების სახელწოდება	საპროექტო წინადადება	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი	ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	პროექტის სული ღირებულება
1	ალი	ალი	სანიაღვრე არხების მოწყობა	20 000	0	0
2		ბრილი	სანიაღვრე არხის მოწყობა	12 000	0	0
3		ახალუბანი	ბეტონის საფარის მოწყობა	10 000	0	0
4		დუმაცხოვი	ბეტონის საფარის მოწყობა	10 000	0	0
5		ზემო აძვისი	შიდა საუბნო გზების მოხრეშვა	10 000	0	0
6		კლდისწყარო	მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	10 000	0	0
7		ცხეთიჯვარი	არტეზიული ჭის და მაგისტრალის მოწყობა	10 000	0	0
8		უწლევი	ნაპირსამაგრის მოწყობა	10 000	0	0
9		ნაბახტევი	მოსაცდელების მოწყობა	16 000	0	0
10		ქინძათი	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალის მოწყობა	12 000	0	0
			ჯამი:	120 000	0	0
11	გომი	გომი	სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა	30 000	0	0
12		ხიდის ყური			0	0
13		ვაყა	სკვერის მოწყობა	20 000	0	0
14		ქვემო აძვისი	სანიაღვრის მოწყობა	10 000	0	0
15		დიდი სატივე	სკვერის მოწყობა	22 000	0	0
16		პატარა სატივე			0	0
17		აგარები	სკვერის შემოღობვა და კეთილმოწყობა	10 000	0	0
			ჯამი:	92 000	0	0
18	ოსიაური	ზემო ოსიაური	ზემო უბანში დასასვენებელი მინი სკვერის მოწყობა	20 000	0	0
19		ქვემო ოსიაური	ბატონის ბაღის სკვერის რეაბილიტაცია/ მოწყობა და ბილიკების მოპირკეთება	16 000	0	0
20		ახალსოფელი	სოფელში ალტერნატიული შემოსასვლელი გზის ე.წ. რკინიგზის პარალელურად გამავალი გზის რეაბილიტაცია	10 000	0	0
21		ნარუჯები	არსებული წყალმომარაგების ქსელის დაღრმავება და ავარიული ტუმბოს გამოცვლა	10 000	0	0
			ნარუჯები-პატარა ხალების დამაკავშირებელი გზის მოხრეშვა		0	0
22		ღუდა	მისასვლელი გზის ერთერთ მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობა	10 000	0	0
			ჯამი:	66 000	0	0
23	დაბა სურამი	დიდი ბეკამი	სანიაღვრეების მოწყობა	10 000	0	0
24		პატარა ბეკამი	სანიაღვრე არხების მოწყობა დასრულება	12 000	0	0
25		ურთხვა	შიდა გზების რეაბილიტაცია (მოხრეშვა-მოშანდაკება)	10 000	0	0
26		ზეკოტა	შიდა გზების მოხრეშვა-მოშანდაკება	10 000	0	0
27		ბიჯნისი	სოფლის ცენტრში წყაროს კეთილმოწყობა და ტაძრისკენ გარე განათების მოწყობა	12 000	0	0
28		დაბა სურამი	სანიაღვრეების მოწყობა კაკალათხევის დასახლებაში	20 000	0	0
			ჯამი:	74 000	0	0
29	ფლევი	დიდი ფლევი	სკვერის მოწყობა	12 000	0	0
30		პატარა ფლევი	ატრაქციონების მოწყობა	10 000	0	0
31		ნაცარგორა	გარე ტრენაჟორების მოწყობა	12 000	0	0
32		ტკოცა	სასაფლაოს შემოღობვა	16 000	0	0
			ჯამი:	50 000	0	0
33	ქვიშხეთი	ქვიშხეთი	სტადიონის შემოღობვა (ჭალისუბანი)	20 000	0	0
34		ტაშისკარი	ფანჩატურის მოწყობა	12 000	0	0
35		მონასტერი	სასაფლაომდე მისავლელი გზის ბეტონის საფარის და მილხიდის მოწყობა	10 000	0	0
36		ბეღლეთი	ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოების გაგრძელება	10 000	0	0
37		ბულბულისციხე	სასაფლაომდე მისასვლელი გზის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების დასრულება	10 000	0	0
38		სათივე	სკვერის მოწყობა	10 000	0	0
39		სარმანიშვილისკარი	სასმელი წლის სისტემის რეაბილიტაციის დასრულება	10 000	0	0

40		ტეზერი	ხახუტის ტეზერში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა (ბირკაძეების უბანი)	16 000	0	0
41		ყიფიაანთუბანი	ზედა უბანში ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოების გაგრძელება	12 000	0	0
42		სავანისუბანი	სანიაღვრე არხის მოწყობა	12 000	0	0
43		რუსაანთუბანი	ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოების დასრულება	10 000	0	0
			ჯამი:	132 000	0	0
44		ცხრამუხა	სოფლის შესასვლელში ხიდის რეაბილიტაცია და განათება. ცენტრალური ქუჩის გამწვანება. სოფ. ცენტრში განათების მოწყობა. სკვერში კარების მოწყობა დამცავი ჯებირით. სკამების შეკეთება სკვერში.	20 000	0	0
45	ცხრამუხა	თაგვეთი	ბეტონის გზის მოწყობა	10 000	0	0
46		რბონა	ბეტონის გზის მოწყობა სოფლის გზის ერთართ მონაკვეთზე	10 000	0	0
47		დამჩხეულა	გოგალაძეების და ტაბატაძეების სასაფლაომდე გზის მოხრეშვა	10 000	0	0
48		ქაშვეთი	სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოხრეშვა	10 000	0	0
49		ჯვართმუხა	ბეტონის გზის მოწყობა გზის ერთ მონაკვეთზე	10 000	0	0
50		კოდისწყარო	სათავე ნაგებობის მოწყობა	10 000	0	0
			ჯამი:	80 000	0	0
51		ქემფერი	2 ფანჩატურის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	12 000	0	0
52		ცოცხნარა	ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა	12 000	0	0
53	ცოცხნარა	წაბლოვანა	შიდა საუბნო გზის მოხრეშვა	10 000	0	0
55		ცედანი	საბავშვო სკვერის მოწყობა	10 000	0	0
56		ოძისი	საბავშვო სკვერის მოწყობა	10 000	0	0
57		ცივწყარო	შიდა საუბნო გზის მოხრეშვა და წყალგამტარი მილის მოწყობა	10 000	0	0
			ჯამი:	64 000	0	0
58		წაღვლი	ხელოვნურ საფარიანი მინი სტადიონის მშენებლობის დასრულება	16 000	0	0
59		კლდისწყარო	მინი სტადიონის მშენებლობის გაგრძელება	20 000	0	0
60		ქვემო ბროლოსანი			0	0
61	წაღვლი	ზემო ბროლოსანი	სოფელთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგება	10 000	0	0
62		ჩორჩანა	საზოგადოებრივი თავშეყრის შენობის კეთილმოწყობის სამუშაოების გაგრძელება	10 000	0	0
63		წეღვერი	სოფელთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგების სამუშაოების დასრულება	10 000	0	0
64		ტიტვინისწყარო	სოფელთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგების სამუშაოების გაგრძელება	10 000	0	0
			ჯამი:	76 000	0	0
65		წრომი	დასასვენებელი სკვერის მოწყობა	12 000	0	0
66		ახალშენი	სოფლის შიდა გზაზე ბეტონის გზის დაგება	10 000	0	0
67	წრომი	ნადარბაზევი	გზის რთულ მონაკვეთზე ბეტონის გზის დაგება	10 000	0	0
68		იმერლიანთკარი	წყლის სისტემის მოწყობა	10 000	0	0
69		დიდი ყელეთი	საერთო სარგებლობის გზის რთულ მონაკვეთზე ბეტონის გზის დაგება	20 000	0	0
70		პატარა ყელეთი			0	0
			ჯამი:	62 000	0	0
72		ხცისი	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	16 000	0	0
73	ხცისი	მიწობი	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	12 000	0	0
74		კრისხევი	არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია	10 000	0	0
ჯამი:				38 000	0	0
75		დიდი ხალები	სოფელში არსებული გზის რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის მოწყობა გარკვეულ მონაკვეთებზე	10 000	0	0
76	ხალები	პატარა ხალები	სოფელში არსებული გზის რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის მოწყობა გარკვეულ მონაკვეთებზე	10 000	0	0
77		ღართა	სოფელში არსებული გზის რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის მოწყობა გარკვეულ მონაკვეთებზე	10 000	0	0
78		სარტყელა	სოფელში არსებული გზის რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის მოწყობა გარკვეულ მონაკვეთებზე	10 000	0	0
79		ღვრიაწყალი	სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა	10 000	0	0
			ჯამი:	50 000	0	0
			სულ ჯამი:	904 000	0	0

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40,41,46,47,48,49,50. 2023წ.#1,2.3)

„ჩვენ მათთან შედარებით უფრო პატარები ვიყავით და ამიტომ ფეხბურთის ცალკე გუნდი ჩამოვაყალიბეთ. პირველი ასეთი გუნდი იყო გიმნაზიის (ეხლა ქალაქის 1 საშუალი სკოლა) უბნის გუნდი „პატარა კახი“, რომლის ორგანიზატორი, „მომნათვლელი“ და პირველი კაპიტანიც ამ სტრიქონების ავტორი გახლდათ... „პატარა კახის“ გუნდში მოთამაშე ფეხბურთელები იყვნენ ვანო და კოწია ბარბაქაძეები, ირაკლი მექერიშვილი, ლადო ხუჭუა, გოგია და ვასო აბაიაძეები, კოლია ჭანკვეტაძე, საშა ჯაფარაშვილი, სულიკო ჩუბინიძე, გურგენა ჭკუასელიძე, ვასო ჭკუასელი, კოლია და სოგრატა ქიტიაშვილები, ნიკო ტატიშვილი, პავლე მოისეევი, ვახტანგ ნარსია, გრიშა ჯომართიძე, ვალია გიორგაძე, გურგენა ხაჩიძე, ლეო და პეტია თომაძეები და სხვები. რამდენიმე ხნის შემდეგ „ზდანიებში“ (რკინიგზელების საუწყებო საცხოვრებელ შენობებს, მაშინ ასე უწოდებდნენ), ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა გუნდი „ორბი“, რომლის ორგანიზატორი და პირველი კაპიტანი იყო პეტია ჯავახიძე. „ორბში“ თამაშობდნენ ბონდო და პეტია ცქიტიშვილები, პავლე ჯავახაძე და სხვა „ზდანიელი“ ახალგაზრდები.

აი, ფეხბურთის ეს ორი გუნდი, პირველ რიგში, ხოლო შემდეგ მესამე - „ჭალის“ გუნდიც, რომელიც შალიკო გურეშიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა და რომლის პირველი კაპიტანიც თვითონ იყო, შესდგებოდა უმთავრესად ჭალის დასახლების ახალგაზრდებისაგან, – იცავდნენ მაშინდელ ხაშურის სპორტულ სახელს და ცუდათაც არ თამაშობდნენ, ამას მოწმობს ურთიერთშორის გამართული შეჯიბრებები, აგრეთვე გამარჯვებები, რომელსაც ჩვენ ვაღწევდით ხოლმე სურამში, ბორჯომში, ახალდაბაში, გორში, ზესტაფნში და სხვაგან. ვთამაშობდით ამ ადგილებში ჩამოსულ თბილისელ მოაგარაკეებთანაც და თითქმის ყოველთვის ვიმარჯვებდით“.

გიორგი ნაცვლიშვილი: „ჩემი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მოიცავს 1925-1936 წლებს.... მაშინ ნაკლებად ვიფარგლებოდით სპორტის რომელიმე ცალკე სახეობით და მრავალფეროვნებას ვეტანებოდით (ტანვარჯიშს, მძლეოსნობას და განსაკუთრებით კი ფეხბურთს). ფეხბურთის სექციას შეფობდა რკინიგზის პროფკავშირი, სხვა სექციების მუშაობით ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი და ძირითადად სპორტის ამ სახეობაში გვიხდებოდა სხვა გუნდების გამასპინძლებაც და ჩვენს გუნდს გამგზავრებაც. ხაშურში რომელ და რამდენ გუნდთან გვქონდა შეხვედრა ზუსტად ვერ გეტყვით, სხვა გუნდებთან შეხვედრებიდან მაგონდება სურამის, ბორჯომის, ზესტაფონის, სამტრედიის, ფოთის, ჭიათურის, განჯის, გორის და თბილისის ფეხბურთელებთან ჩატარებული მატჩები. ტანვარჯიშსა და მძლეოსნობაში მონაწილეობა თბილისის, ზესტაფონის და სამტრედიის გუნდებთან შეხვედრები.

მინდა დავძინო ის, რომ როდესაც ხაშურში კულტურულ-სპორტული მოძრაობის განვიათრებას ეხება საკითხი, აღსანიშნავია „ძმა“– ს. კვანჭახაძის ამ პერიოდში მოღვაწეობა. ახალგაზრდობა მანამდეც მისდევდა ვარჯიშს სპორტის ამა თუ იმ სახეში, მაგრამ ამას არ ჰქონდა სტაბილური ხასიათი. არ იყო ორგანიზებული და უფრო სეზონურ ხასიათს ატარებდა. ვფიქრობ „ძმა“ სოლოს მუშაობა ამ მხრივ აღსანიშნავია“(). შოთა ნოზაძე: „1928 წელს ხაშურში სათამაშოდ ჩამოვიდა ბაქოს გუნდი. მას ეთამაშა ხაშურის ნაკრები, რომელმაც გამარჯვებით დაამთავრა ეს საქალაქთაშორისო შეხვედრა...

აქვე მინდა გავიხსენო ერთი ამბავი, როცა 1936 წელს თბილისის „დინამომ” თავის პირველ წარმატებებს მიაღწია, საუბარი მქონდა ბორის პაიჭაძესთან. ვუმტკიცებდი, რომ ხაშურში არის მეტად პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელი გ. ხაჩიძე, რომელიც ერთნაირი სიძლიერით თამაშობდა ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც. ბ. პაიჭაძემ გულისტკივილით მიპასუხა, რომ კარგად ვიცნობ ამ ნიჭიერ ფეხბურთელს, მაგრამ ვერაფრით ვერ დავითანხმე თბილისში გადასვლაზეო. მან ისიც მთხოვა, ჩემი მხრივ, ცალკე მომელაპარაკა გ. ხაჩიძესთან.

ჩავედი ხაშურში და ა. ჭიპაშვილს, ა. რატიას, გ. ჭუმბაძის და ბარბაქაძეების დახმარებით დავითანხმე ხაჩიძე გადასულიყო თბილისში. საქმე თითქოს მოთავებული იყო, მაგრამ მოხდა უბედური შემთხვევა: გ. ხაჩიძე ტრაგიკულად დაიღუპა ელმავალზე დენით“.

20-იან წლებში ხაშურში ფეხბურთთან ერთად განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ტანვარჯიში. „ამ პერიოდში, - იგონებდა მოგვიანებით ა. ჭიპაშვილი, - სახელგანთქმული სპორტსმენები იყვნენ შალიკო ნაცვლიშვილი, მისი ღერძზე შესრულებული „მზე“ ეხლაც ისევე მიდგას თვალწინ და მახარებს, როგორც ეს იყო 34-35 წლის წინ, – ულამაზესი ტანის, თანაც ლამაზი სპორტსმენი, მართლა დიდებული სანახავი იყო ღერძზე ვარჯიშის დროს. ასევე ლამაზი იყო მაღალი ტანის მორბენალი იოსებ (იოსკა) ქურდაძეც, გიორგი (ჟორა) ნაცვლიშვილი, კარგნი იყვნენ ვალია ყიფიანი, გრიგოლ სხირტლაძე და სხვები”.

ტანვარჯიშს ქალებიც მისდევდნენ. 1961 წელს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ელისაბედ (ლიზა) ოყროშიძე იგონებდა: „არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ისეთი ძლიერი ტანმოვარჯიშე ქალი, როგორიც მე ვიყავი, მაშინ 20-30-იან წლებში ხაშურში არავინ იყო. უფრო გვიან პირველობას ვჩემულობდი თბილისშიც. შეიძლება ეს იმითაც აიხსნას, რომ იმხნად თითზე ჩამოსათვლელი იყო სპორტსმენი ქალები.

ტანვარჯიშის სექციაში იმ დროს ისეთი მოვარჯიშეები იყვნენ, რომ ვფიქრობ, საქართველოს არც ერთ რაიონს და არც თბილისს არ ყავდა. მახსოვს, გულო ბერიძე, ვირტუოზი იყო ღერძზე ყირებით და თარაზოებით, ასევე მიშა ჩიტიაშვილი. კარგი მოვარჯიშეები იყვნენ ასევე ჟორა ნაცვლიშვილი, ვანო ქურდაძე, ძინძიბაძე, ერასტი ბარბაქაძე, კოლა ჭანკოტაძე.

ს. კვაჭახაძის ხელმძღვანელობით საღამოებსა და საჩვენებელ ვარჯიშებს ვაწყობდით რკინიგზელთა კლუბში, სკოლის ეზოში. ერთხელ სტალინირშიც (ცხინვალი) ჩავედით საღამოს ჩასატარებლად. მახსოვს რა წვალებით გავიარეთ გზა ფეხით ქარელიდან სტალინირამდე. ვაჟებს (ჟ. ნაცვლიშვილს, ქურდაძეს, ძინძიბაძეს) ხელით მოჰქონდათ სავარჯიშო იარაღები, მაგრამ ნასიამოვნები დავბრუნდით უკან. დიდძალი ახალგაზრდობა მოაწყდა ლიახვის გაღმა მდებარე თეატრს, სადაც საღამო გავმართეთ. 1928 წელს თბილისის ქიმიურ ტექნიკუმში განვაგრძე სწავლა, მაგრამ ხაშურის ფიზკულტურული კოლექტივი მაინც არ მიმიტოვებია. არდადადგების დღეებს მათთან ვარჯიშსა და თამაშში ვატარებდი.

1932 წელს პირველად მივიღე მონაწილეობა საკავშირო შეჯიბრებაში მოსკოვში – მაშინ უკვე ჩამოყალიბებული ტანმოვარჯიშე ვიყავი. მას შემდეგ სტუდენტობის წლებშიც ყოველწლიურად გამოვდიოდი საკავშირო შეჯიბრებაზე და წარმატებებსაც ვაღწევდი“( ).

. რატია: „1927 წლიდან მოყოლებული 1932-1933 წლებამდე, და მერეც, ხაშურის გუნდი საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო. თვით ფეხბურთელების მიერ მოწყობილი იქნა მშვენიერი სტადიონი „გიმნაზიის მინდორზე“, სადაც ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკია. ხშირად იმართებოდა შეჯიბრება რესპუბლიკის სხვადასხვა გუნდებს შორის. უმეტეს წილად ხაშურის გუნდი გამოდიოდა გამარჯვებული, თანაც ხალხიც ბევრი ესწრებოდა...

იმ წლებში ხაშურის ღირსებას ძირითადად იცავდნენ: მეკარეები ალექსანდრე (ბიჭიკო) ძიძიგური და გიორგი ჭუმბაძე, დამცველები ალიოშა ბარანოვსკი, გიორგი (ბებერო) თუთისანი, ნახევარმცველები გიორგი (ტულო) ბერიძე, ვალია გიორგაძე, ნიკოლოზ (კოლა) სირაძე, შუა ნახევარმცველი პეტრე (პეტა) ჯავახაძე, თავდამსხმელები ალექსანდრე (შურა) რატია, კონსტანტინე (კოწია) ბარბაქაძე, ერასტი ბარბაქაძე, სოლომონ (სულიკო) კვანჭახაძე, ვახტანგ ჩიქოვანი, გურგენ ხაჩიძე, კონსტანტინე (კოწო) მოწონელიძე. სათადარიგოდ კი ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდობაც იყო“.

30-იან წლებში ხაშურში ველოსპორტის მიმდევრებიც გამოჩნდნენ. ა. ჭიპაშვილი იგონებს: „1933 წელს ოსტატად დავიწყე მუშაობა ხაშურის საელმავლო დეპოში. მაშინ დეპოს კომკავშირის კომიტეტის მდივნად მუშაობდა შალვა გურეშიძე. სპორტისმოყვარულებმა მალე გამოვნახეთ საერთო ენა – შეიქმნა ველოსიპედისტთა ჯგუფი.

კარგად მახსოვს, 1934 წლის 1 მაისის დღესასწაული. მშრომელთა დემონსტრაციაში მონაწილეობა მივიღეთ ველოსიპედისტთა კოლონამ. მის გამოჩენას არავინ მოელოდა და მქუხარე ტაშით დაგვაჯილდოვეს. მალე ველოსიპედი მტკიცედ დამკვიდრდა ხაშურელთა სპორტულ ცხოვრებაში. პირველი სახელოვანი ხაშურელი ველოსიპედისტები იყვნენ გრიშა კახეთელიძე, ინჟინერი მიშა ბითაძე, ვალოდია ფრანჩუკი, ირაკლი კაკაბაძე, რუბენ არუთინოვი და სხვები.

1935 წელს მოეწყო პირველი ველოგადარბენა მარშუტით ხაშური-ბორჯომი-ახალციხე-აბასთუმანი-ხაშური. მომდევნო წელს ველოგადარბენის მარშუტი იყო ხაშური-სტალინირი-კურორტი ჯავა-ხაშური.

სპორტსმენთა ერთი ჯგუფი ალპინიზმსაც ვეტანებოდით. 1934 წელს მოვაწყვეთ ასვლა ღამისთევით „ღორის ნამკალზე“. კარგად მახსოვს, რომ მწვერვალის აღმოსავლეთ კალთაზე მიწაში ჩავფალით სამახსოვრო ბოთლი სათანადო წარწერით“ ხაშურელმა ფეხბურთელებმა განსაკუთრებულ წარმატებებს 40-იან წლებში მიაღწიეს.

გ. ჯომარდიძე: „ჩვენი რაიონის ფეხბურთელთა კოლექტივი კარგად გამოიყურებოდა 1948-1952 წლებშიც. 1949 გუნდმა საქართველოს სსრ პირველობაზე - ქუთაისის შემდეგ - მეორე ადგილი დაიკავა. გუნდს 3-ჯერ ჰქონდა „ლოკომოტივის“ საგზაო თასი“.

ალექსი (ალუა) გოგოლაძის ცნობით ხაშურში 1944 წელს ფეხბურთის სამი გუნდი იყო: განათლების განყოფილების, რკინიგზის კვანძისა და ფიზკულტურის კომიტეტის. „ამ გუნდებში თამაშობდნენ იმდროინდელი ახალგაზრდა ფეხბურთელთა თაობა. ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა გივი შანიძე, რომელმაც მიმიწვია მე, როგორც უფროსი თაობის ფეხბურთელი და დამავალა რაიონის ნაკრების შექმნა. ზემოთ ჩამოთვლილი გუნდებიდან შერჩეული იქნა ფეხბურთელები და რკინიგზის ფიზკულტურის კომიტეტისა და რაიონული ფიზკულტურის კომიტეტის ბაზაზე შეთანხმებით შეიქმნა რაიონული ფეხბურთის ნაკრები, ხელმძღვანელობა დამევალა მე. 1944 წელს ვმონაწილეობდით საქართველოს პირველობაზე და დიდ წარმატებასაც ვაღწევდით. მახსოვს შეხვედრა გვქონდა ახალციხის რაიონის ნაკრებთან და დიდი ანგარიშით მოვიგეთ... რამდენიმე დღის შემდეგ მატჩი გვქონდა თბილისის საავიაციო ქარხნის გუნდთან... ჩვენ ამ ქარხნის ძლიერ გუნდთან თამაშს ფრედ ვამთავრებდით, მაგრამ თამაშის ბოლო წუთებზე თერთმეტმეტრიანმა იხსნა თბილისელები...

ჩვენ იმის გამო, რომ ხაშურში არ გვქონდა სტადიონი, თამაშებს ვატარებდით სხვების სტადიონზე. ჩვენი გუნდი იმ წელს საქართველოს პირველობაზე მეორე ადგილზე გამოვიდა, ჩემპიონის გამოსავლენად თამაში დაინიშნა თბილისში.

განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო კეთილშობილი, საყვარელი, საქმიანი და კარგი ადამიანის, რაიკომის იმდროინდელი მდივნის გრიგოლ ფოფხაძის კეთილი და მზრუნველი დამოკიდებულება ფეხბურთის მიმართ. მან გამოუძახა რკინიგზის ხელმძღვანელებს და ერთ თვეში აშენებულ იქნა რაიონის ძალებით სტადიონი. მშენებლობაში მონაწილეობდნენ რკინიგზის მუშა-მოსამსახურეები და ქალაქის მოსახლეობაც. იმ პერიოდში ერთ თვეში სტადიონის აშენება დიდი საქმე იყო. ასეთი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის ფეხბურთელები ყველა ღონეს ხმარობდნენ თამაშის მოგებისთვის. ქუთაისის გუნდ „ტორპედოსთან“ თამაშს ესწრებოდა რაიკომის მდივანი გრიგოლ ფოფხაძე, რაიონის სხვა ხელმძღვანელები... რაიონის ნაკრებს თანაუგრძნობდა და გულშემატკივრად გაუხდა რაიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი... 1946 წელში პირველობაზე გამარჯვებასთან დაკავშირებით თასის გადმოცემის ცერემონიალი აღბეჭდილია კინო-ფირზე და ფილმოსკოპთან ერთად გადავეცი ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

1946 წელს საქართველოს პირველობაზე ქუთაისის „ტორპედოს“ შემდეგ ჩვენმა ნაკრებმა დაიკავა მეორე ადგილი, ივნისის თვიდან გადავედით სპორტულ რეჟიმზე – შეკრება გვქონდა ელდეპოს სასტუმროში... გუნდი ისე გაძლიერდა, რომ რკინიგზის ხელმძღვანელობამ შექმნა „ლოკომოტივის“ ფეხბურთის საბჭო და მის ხელმძღვანელად ექიმი ღუტო ალბრეხტი დაინიშნა.

1944-1947 წლებში სამჯერ მოვიპოვეთ „ლოკომოტივის“ პირველობა და თასი. გუნდის იმდროინდელი შემადგენლობა ასეთი იყო: ვასილ ნემსაძე, ტ. დეკანოზიშვილი, რუბენ გასპაროვი, ვასია დერევიაჩენკო, პორფილე მაღრაძე, არჩილ მაჭარაშვილი, ვახტანგ ბარბაქაძე, შოთა აბასაშვილი, შოთა მამიაშვილი, ლავეტო ქურდაძე, ჟორა თედიაშვილი, ვოვა გარშკოვი, გურამ თოდრია. გუნდის მწვრთნელი ტანო ჭუმბურიძე, გუნდის კაპიტანი ალექსი გოგოლაძე.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

-------- გამოხმაურება--------

მერიის პასუხი

ვეხმაურებით სოციალურ ქსელში „მომავლის სახლის“ მხარდაჭერასთან დაკავშირებულ კამპანიას. პირველ ყოვლისა, აუცილებლად ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ „მომავლის სახლის“ ხელმძღვანელებს, ბენეფიციარებს თუ მათს მშობლებს (ვუდასტურებთ ჩვენს პატივისცემას) მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის პრობლემა არ აქვთ. სწორედ რომ პირიქით. ამიტომ, გვჯერა, რომ ნებისმიერი გაურკვევლობის თუ პრობლემის მოგვარება სწორედ მათთან პირდაპირი კომუნიკაციით არის შესაძლებელი და ასეც იქნება.

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ცდილობს დაეხმაროს სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს. მათ შორის, ერთ–ერთი პირველი რიგის ამოცანაა შშმ პირების მხარდაჭერა. „მომავლის სახლი“ ძირითად დაფინანსებას სახელმწიფოსგან იღებს. დამატებით, ყოველწლიურად, მუნიციპალიტეტი ფინანსურად მხარს უჭერს 18 წლის და მეტი ასაკის 8 ბენეფიციარის მომსახურებას და მუდმივად გამოხატავს თანადგომას იმ ნამდვილად საპატიო და მნიშვნელოვანი საქმიანობის მიმართ, რასაც „მომავლის სახლი“ ეწევა და სხვადასხვა დღესასწაულსა თუ ღონისძიებაზე, იქნება ეს ჯომარდობის ტურნირი, საშობაო გამოფენები თუ სხვა მნიშვნელოვანი დღეები, მუდმივად ცდილობს „მომავლის სახლის“ ბენეფიციარების წახალისებას.

მიუხედავად მუნიციპალიტეტის დიდი სურვილისა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა „მომავლის სახლის“ კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფა, რადგან ორგანიზაციამ ვერ მოახერხა მერიაში სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა. აქვე ვადასტურებთ, რომ ეს შეთავაზება დღესაც ძალაშია და მოწესრიგებული დოკუმენტაციის წარმოდგენის პირობებში, საკითხი აუცილებლად გააქტიურდება.

რაც შეეხება ფართის გადაცემის პრობლემას: მუნიციპალიტეტს ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოუხსნია, თუმცა, სამწუხაროდ, ეს არ არის ის შემთხვევა, როცა პრობლემა ერთი ხელის მოსმით შეიძლება გადაწყდეს. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, „მომავლის სახლისთვის“ შესაბამისი ფართის მონახვა დაგეგმილზე ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა.

მუნიციპალიტეტისთვის თითოეული მოქალაქის, და რა თქმა უნდა, „მომავლის სახლის“ ბენეფიციარების და ადმინისტრაციის ინტერესების გათვალისწინება მნიშვნელოვანია, ამიტომ გავაგრძელებთ მათთან თანამშრომლობას, რაც აუცილებლად მიგვიყვანს ოპტიმალურ გადაწყვეტილებამდე.

დიდთოვლობა

უხვი ნალექის მიუხედავად, სოფლების მისასვლელი გზები არ ჩაიკეტა

დაგვიანებულმა თოვლმა, თებერვალში გამოიჩინა თავი და უხვი ნალექით დაგვაჯილდოვა. მიუხედავად იმის, რომ მოსახლეობა სიხარულით შეხვდა პირველ თოვლს, პრობლემები მაინც შეიქმნა გადაადგილებასთან დაკავშირებით. დასუთავების სამსახური, უწყვეტ რეჟიმში, დილის ხუთი საათიდან, თავდაუზოგავად წმენდდა ქალაქის უბნებს და სოფელთან მისასვლელ გზებს.

ზურაბ ნოზაძე, ა(აიპ) „ხაშურსერვისის“ დირექტორი:

–უხვმა ნალექმა გარკვეული სახის პრობლემები შექმნა ჩვენს მუნიციპალიტეტში. 14 თებერვალს მოსულმა თოვლმა, გაართულა სოფლებშორის მიმავალი გზები. ყველაზე დიდი პრობლემები შეიქმნა წაღვლის, ნარვანის და სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში. წაღვლში, დიალეზზე მყოფ მოსახლეობას შეექმნა სოფლიდან გამოსვლის პრობლემა, რადგან ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხებული იყო. თუმცა, მინდა ვთქვა, რომ უხვი ნალექის მიუხედავად, გზები არ ჩაკეტილია. ათი ერთეული ტექნიკა იყო აქტიურად მუშა მდგომარეობაში. პრობლემა ამ ეტაპისთვის თითქმის მოხსნილია, ბოლო დღეებში გაიწმინდა სურამი, ნარვანი, ჩორჩანა, წაღვლი, ცივწყარო, ქემფერი, ხალები, ყელეთი. უფრო მეტი იყო პრობლემები მაღალმთიან სოფლებში, სადაც აქტიურად, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა გზების წმენდის პროცესი.

ასევე, ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა ტექნიკური მარილის დაყრა ხაშურშიც. ძირითადად წაღვლის ადმინისტრაციულში, ბეკამში, ცოცხნარის გადასახვევთან იყრებოდა. ჩვენი სამსახური დილის ხუთ საათზე იწყებს მუშაობას, ჯერ გრეიდერით იწმინდება ქუჩები, შემდეგ უკვე ტექნიკური მარილი იყრება.

მზად ვართ მოსალოდნელი დიდთოვლიანობისთვის. სამომავლოდაც, ვფიქრობთ, შევიძინოთ შესაბამისი ტექნიკა, რომ საკუთარი ძალებით შევძლოთ ნებისმიერ პრობლემასთან გამკლავება.

ბაკურიანში, მსოფლიო ჩემპიონატზე, ხაშურელმა მეწარმე ქალბატონებმა საკუთარი ნაწარმი წარმოაჩინეს

18 იანვარს, ბაკურიანის მსოფლიო ჩეპიონატის გახსნას ხაშურელი მეწარმე ქალებიც შეუერთდნენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელშეწყობით, მათთვის საგამოფენო-სავაჭრო სივრცე და ტრანსპორტი გამოიყო.

მეწარმე ქალებს საშუალება მიეცათ საკუთარი ნაწარმის წარმოჩენისა ადგილობრივებისა თუ ჩამოსული სტუმრების წინაშე, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია მათი საქმიანობის პოპულარიზაციისათვის.

სასიხარულოა, რომ გამოფენაში ხაშურელ სტარტაპერთა ფართო სპექტრი მონაწილეობდა: „ხემსი", „დოშკანა", „მკერვალი", „ნამზეურები", „დევდარიანების მარანი", „ჩოკოლატლი", „ნატუსი", „ქარგულობა,"„ტკბილცხობილა"„შინდარის დედათა მონასტერი".

მუსიკა

სიმებიანი კვარტეტის კოცერტი

ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, დღეს, 21 თებერვალს, სამუსიკო სკოლასთან არსებული სიმებიანი კვარტეტის კონცერტი გაიმართა.

კონცერტში, ასევე, მონაწილეობდნენ პედაგოგ ფატი სადაღაშვილის მოსწავლეები: ანამარია სამხარაძე, ოთო ფრუიძე და დემეტრე გელაშვილი.

კონცერტმა მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და სამუსიკო სკოლა.

სასიამოვნოა, რომ ხაშურის სამუსიკო სკოლა მუდამ ცდილობს მაღალ ხელოვნებას აზიაროს ხაშურელი მსმენელი და როდესაც ამ საქმეში მომავალი თაობაც ჰყავს ჩართული, ეს უკვე ორმაგად სასიხარულოა.

ჩვენმი ქალაქის ცენტრში მდებარე ეს სამუზეუმო ექსპონატი - პირველი ისტორიული ელმავალი, სულ ჩქარა, საუკუნის გახდება. და ვიდრე დიდ იუბილეს იზეიმებს, ხშირადაა ასე „ფიქრებში“ და ამ ზამთრის დღეებში ალბათ თავის დიდ წარსულს და ახალგაზრდობას იხსენებს.

ფოტოს ავტორი: ნიკა კიკაძე

მწერლობა

შეხვედრა ახალგაზრდა შემოქმედთან

მართლაც ლიტერატურულ აფეთქებას ჰგავდა იმ დღეს მუზეუმში გამართული შეხვედრა უნიჭიერეს ახალგაზრდა ავტორთან ლექსო კაკიაშვილთან. სამუზეუმო სალონისთვის განკუთვნილი სივრცე ხალხს ვერ იტევდა, იყო ზღვა ემოცია და ხაშურელი ლიტერატურის მოყვარული საზოგადოების წინაშე პირველად წამდგარი ახალგაზრდა მწერალი, რომლის ყოველი ფრაზა იყო საოცრად გულწრფელი და მაღალი ნიჭიერებით აღბეჭდილი. მისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თუ რას იტყოდნენ მასზე, მის ნოველებზე მკითხველები, როგორ შეაფასებდნენ, რას უსურვებდნენ. ამიტომაც ყველა სიამოვნებით ელოდა მკითხველთა აზრს. თავდაპირველად ლექსოს პირველ პუბლიკაციებზე მსმენელს მოუთხრო გაზეთ „ლიტერატურული ხაშურის" რედაქტორმა, გამოჩენილმა პოეტმა ეკა ბაქრაძემ, „ლიტერატურულ გაზეთში" გამოქვეყნებულ ნოველებზე ძალზე შთამბეჭდავად ისაუბრა ლიტერატორმა და თავადაც ჩინებულმა მწერალმა იამზე შავიძემ, ჟურნალ „ცისკარში" გამოქვეყნებული მოთხრობების შესახებ ჩვეული სიღრმითა და დამაჯერებლობით მოუთხრო მსმენელს მუზეუმის ფონდების მთავარმა მცველმა, მზია ლობჟანიძემ, ხოლო ალმანახ „პირველ სხივში" დაბეჭდილი ლექსოს ნაწარმოებები მიმოიხილა მაყვალა ხაჩიძემ. ლექსოზე, როგორც მეგობარზე და მსახიობზე, მსმენელებს ესაუბრა სახალხო თეატრის მთავარი რეჟისორი გურამ კაპანაძე, გულთბილად მიმართა ავტორს სამუზეუმო გაერთიანების მმართველმა თამაზ ლაცაბიძემ, სანტერესო იყო ცნობილი მხატვრის, ჩვენი თანამემამულის ელენე გამგონიძის გამოსვლა. ბოლოს კი საღამო ძალზე შთამბეჭდავად შეაჯამა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა. შეხვედრას ესწრებოდნენ კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი კოტე ფრუიძე, გიორგი კერესელიძე, ამ სფეროს წარმომადგენლები სარაიონო კულტურის სახლიდან, პედაგოგები, საზოგადოების წარმომადგენლები. ვფიქრობ, ყველა მოხიბლა და ჩააფიქრა ლექსოს მიერ წაკითხულმა ნოველებმა თუ ლექსებმა. იყო თებერვლის თოვლიანი დღე, ხოლო ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შეკრებილი საზოგადოების გულებში იდგა გაზაფხულის ყველაზე თბილი და ალერსიანი ამინდი.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.